ხელშეკრულება #2019/113

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორი გურამ ბოკუჩავას სახით და მეორე მხრივ, შპს ,,მერიდიან ექსპრესი“ (შემდგომში „მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ქოპილაშვილის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტისთვის საბაჟო დეკლარაციის შევსების მომსახურების შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საუძველზე.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუვსოს საბაჟო დეკლარაცია შემსყიდველს, მიმწოდებლის საშუალებით და UPS-ის ქსელით საქართველოში ჩამოსულ, შემსყიდველის კუთვნილ ნომერ 1Z7994160476427450 საფოსტო გზავნილზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.(CPV: 79131000)

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

4. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
4.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
4.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ითვლება შევსებულ დეკლარაციაზე შემსყიდველის უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერის შემდეგ.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.
- უზრუნველყოს განბაჟებისათვის სწორი, საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისი დოკუმენტაციის დროული მიწოდება.

6.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებთან;

6.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესბამისად.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

ქ.თბილისი, მინდელის ქ. #7
ს/კ 249250821
სახელმწიფო ხაზინა
კოდი: TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022
სახაზინო კოდი: 0708687520

დირექტორი:

---------- გ. ბოკუჩავა

მიმწოდებელი:
შპს „მერიდიან ექსპრესი“

ქ. თბილისი, ქ. დედოფლის გამზ. №15-17
ს/კ: 206063365
ტელ: 2747321
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE83TB1100000120467658

დირექტორი:

---------- გ. ქოპილაშვილი